ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო

გარემოს დაცვისა და
სოფლის მეურნეობის
სამინისტრო

N 7338/01
25/07/2019

7338-01-2-201907251114

შპს „შავი ზღვის ტერმინალს“

მის: თბილისი, 300 არაგველის ქუჩა N24

გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრომ განიხილა თქვენი 2019 წლის 8 ივლისის N9849 წერილი, რომელიც ეხება ხობის მუნიციპალიტეტის, სოფ. ყულევში შავი ზღვის სანაპირო ზოლის დაცვისა (ნაპირდაცვა) და სტაბილიზაციის პროექტის სკრინინგის განცხადებას.

სკრინინგის გადაწყვეტილების მიღების მიზნით დაწყებული ადმინისტრაციული წარმოების პროცესში გამოიკვეთა, რომ წარმოდგენილ სკრინინგის განცხადებაში დაზუსტებას საჭიროებს გარკვეული საკითხები, კერძოდ:

- წარმოდგენილი სკრინინგის განცხადების მიხედვით საკვლევი ტერიტორია მდებარეობს ხობის მუნიციპალიტეტში, სოფ. ყულევში, თუმცა სკრინინგის განცხადებაში ასევე მითითებულია, რომ საკვლევი ტერიტორია მდებარეობს ქ. თბილისში, თბილისის ზღვის სამხრეთული სანაპიროს გასწვრივ, ამავე გვერდზე აღწერილია თბილისის ზღვის სამხრეთი ნაპირის გასწვრივ არსებული ფერდობი. ზემოაღნიშნული ინფორმაცია არაა შესაბამისობაში წარმოდგენილ სკრინინგის განცხადებასთან და საჭიროებს დაზუსტებას;
- სკრინინგის განცხადებაში აღნიშნულია, რომ საინჟინრო-გეოლოგიური პირობების სირთულის მიხედვით ტერიტორია მიეკუთვნება I მარტივ კატეგორიას, ამავე დროს სკრინინგის განცხადების დასაწყისში წარმოდგენილი ინფორმაციით ყულევში არსებული საკვლევი უბანი საინჟინრო-გეოლოგიური პირობების სირთულის მიხედვით განეკუთვნება III რთულ კატეგორიას. ზემოაღნიშნული საჭიროებს დაზუსტებული მონაცემების წარმოდგენას საპროექტო ზონის საინჟინრო-გეოლოგიური პირობების სირთულის შესახებ;
- დაზუსტებას საჭიროებს, ასევე საპროექტო ზონის სეისმურობის შესახებ ინფორმაცია;
- სკრინინგის განცხადებაში დასაზუსტებელია საპროექტო ნაგებობის განთავსების ტერიტორიის კოორდინატები (სკრინინგის განცხადების დასკვნით ნაწილში მოცემული საპროექტო ნაგებობის კოორდინატები არაა შესაბამისობაში სკრინინგის განცხადების პირველ გვერდზე მითითებულ რეალურ კოორდინატებთან).
- საპროექტო ტერიტორია მდებარეობს კოლხეთის ეროვნული პარკის საზღვრებში, ამასთან საპროექტო ტერიტორია ემთხვევა "ევროპის ველური ბუნების და

ბუნებრივი ჰაბიტატების დაცვის შესახებ" (ბერნის) კონვენციის შესაბამისად შექმნილი "ზურმუხტის ქსელის" დამტკიცებულ საიტს (კოლხეთი - GE0000006), რომელიც თავის მხრივ ემთხვევა „საერთაშორისო მნიშვნელობის მქონე ჭარბტენიანი განსაკუთრებით წყლის ფრინველთა საბინადროდ ვარგისი ტერიტორიების შესახებ კონვენციის“ საიტს (ცენტრალური კოლხეთის ჭარბტენიანი ტერიტორია - 893). აღსანიშნავია, რომ სკრინინგის განცხადებაში ინფორმაცია ზემოაღნიშნულთან დაკავშირებით არ არის წარმოდგენილი, შესაბამისად სკრინინგის განცხადება არ მოიცავს ზემოაღნიშულ ტერიტორიებზე პროექტის განხორციელებით გამოწვეული შესაძლო ზემოქმედების შეფასებას.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 83-ე მუხლის საფუძველზე სამინისტრო წყვეტს ადმინისტრაციულ წარმოებას.

გაცნობებთ, რომ სამინისტრო სკრინინგის გადაწყვეტილების მიღების მიზნით ადმინისტრაციულ წარმოებას დაიწყებს მას შემდეგ, რაც კომპანიის მიერ დაზუსტდება ყველა მითითებული საკითხი და სამინისტროში წარმოდგენილი იქნება ზემოაღნიშნული შენიშვნების გათვალისწინებით დაზუსტებული სკრინინგის განცხადება.

ნინო თანდილაშვილი

მინისტრის მოადგილე